დეკანის ბრძანება №8/2018

თსუ რექტორის 2008 წლის 27 თებერვლის N12/01-01 ბრძანების საფუძველზე ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის კანდიდატთა შერჩევის შესახებ

1. თსუ რექტორის 2008 წლის 27 თებერვლის N12/01-01 ბრძანების თანახმად ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის კანდიდატთა შესარჩევად საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 26 მარტიდან 2018 წლის 2 აპრილის ჩათვლით.
2. საბუთების მიღება იწარმოებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში (თსუ 11–ე კორპუსი, ოთახი 303, 10:00-17:00)
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

    1. განცხადება
    2. CV
    3. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი
    4. პროფესორის სარეკომენდაციო წერილი

4. საკონკურსო დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცეს საკონკურსო კომისიას.
5. საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადები განისაზღვროს 3 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით.

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი

20.03.2018